№ 39 თებერვალი 23, სამშაბათი 1893 თებერვალი 23, სამშაბათი № 39

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

„ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული 1.000,000 მან.)

ისყიდება 5%-იანი **მოგებიანი ბილეთები I, II, და III** სესხისა თთვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თთვე-და-თთვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინის ქუჩაზედ, № 7, დილა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—1) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა

თხზულებანი

**აკაკი**

**წერეთლისა**

ტომი I ლექსები

გადაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასასყიდად

**ფასი 1 მან.**

(5—3)

## ი. ი. წინამძღვრი-შვილის 25 წლის იუბილეი.

19 თებერვალს შესრულდა ოცდახუთი წელი, რაც ჩვენში შემოიღეს ახალი სამართალი. 19 თებერვლიდამ 1868 წლ. 19 თებერვლამდე ამა 1893 წ. ტფილისის მესამე სამოსამართლო უწყებაში იყო მომრიგებელ მოსამართლედ ძ-ნი ილია ივანეს ძე წინამძღვრი-შვილი. 19 თებერვალს 1868 წელს წინამძღვრი-შვილმა, თანა დასწრებით ტფილისის პალატისა და ოლქის სასამართლოს წევრთა, დაიწყო მომრიგებელ მოსამართლეობა და ჩაიბარა თავისი სამოსამართლო უწყება—მთელი კუკია, ჩუღურეთი და ნათლუხი, ე. ი. მთელი მარცხენა მხარე ტფილისისა. იმ დღიდამ ამ დღემდე ბ-ნი წინამძღვრიშვილი დაუღალავად ასრულებს თავის მძიმე მოვალეობას.

წელს 19 თებერვალს შესრულდა ოცდა-ხუთი წელიწადი მისის მოსამართლობისა. ამ გარემოებამ გამოიწვია დიდი თანაგრძნობა, პატივისცემა და მადლობა საზოგადოებისა მის მიმართ. იმ დღეს, დილის რვა საათიდამ შუაღამემდე, ბ-ნ წინამძღვრი-შვილს მოუვიდა პეტერბურგიდამ, ყირიმიდამ, დუშეთისა და გორის თავად-აზნაურთაგან, იმათ მარშლებისაგან და სხვა-და-სხვა კუთხეებიდან ჩვენის სამშობლო ქვეყნისა მოსალოცავი დეპეშები. დილის ცხრა საათზედ ბ-ნ წინამძღრი-შვილს მიესალმა სახლში ერთი კოლონიის გერმანელთაგან ამორჩეული დეპუტატი ი. მაერი და გადასცა წერილი, რომელშიაც გამოხატულია ბ-ნ წინამძღვრი-შვილის მოღვაწეობა, კეთილი მსაჯულობა ამ ოცდაახუთის წლის განმავლობაში და მათი მადლობა და თანაგრძნობა. შემდეგ მაიერისა ბ-ნ წინამწღვრი-შვილს ეწვივნენ სახლში იმისი თანამშრომელნი სასამართლოში: ორი თანაშემწე: კ. კუზმანი და მ. ტარანოვსკი, ორი გამომძიებელი: ოქოევი და შირსკი, ორი ბოქაული მანსურ-აღა და ფეტკოვსკი, სეკრეტარი ფილიპოვსკი, სეკრეტრის თანაშემწენი: მუხინი და გეგელიშვილი, მწერალნი და იასაული იოსებ ხამალოვი, რომელსაც შეუსრულდა აგრეთვე ოცდა-ხუთი წელი ამ უწყებაში სამსახურისა.

კუზმინმა და ოქოევმა იუბილიარს გამოუცხადეს თავისი თანაგრძობა, პატივისცემა და სურვილი, რომ ღმერთმა არ მოაკლოს მომავალშიაც ჯანი და მხნეობა მოვალეობის აღსრულებისათვის. იმათ მიართვეს ბ-ნ წინამძღრი-შვილს სურათები ჩარჩოებში გაკეთებული. ამ სურათებში მოქცეულია ყველა-თანამშრომელნი და ორი სახე თვით ბ-ნ ი. ი. წინამძღვრი-შვილისა. ერთია გადახატული 1868 წელს, თითქმის იმ დღეს, როდესაც პირველად დაინიშნა მომრიგებელ მოსამართლედ; მეორე-კი წლევანდელი გადაღებულია. პირველი სურათი გვიხატავს მოცინარე შავის თმით და წვერულვაშით შემოსილ ჭაბუკ-კაცს; მეორეში—გათეთრებულს და დაფიქრებულ კაცს. როგორც სჩანს, დროებას, ოცდა-ხუთის წლის დაუღალავ მუშაობას, მძიმე და საფრთხილო მოვალეობის აღსრულებას და ცხოვრების ვითარებას მის სახეზედ თავისი დაღი დაუდვია.— შემდეგ ეწვია ბ-ნი ივან მიხეილის ძე დაკიშევიჩი და გარდასცა ბ-ნ წინამძღვი-შვილს ადრესი, რომელზედაც ხელი-უწერიათ მცხოვრებთ და მამულის პატრონთ კუკიაში და ჩუღურეთში. აი ადრესის სიტყვა:

„დიდად პატივცემულო
ილია ივანეს ძევ!

თქვენ სამოსამართლო უწყებაში მცხოვრებელნი, საზოგადოების სწევრნი, სიამოვნებით გილოცავთ დღევანდელ თქვენს დღესასწაულს. მიიღეთ ჩვენი გულ-წრფელი თანაგრძნობა, პატივისცემა და გულითადი მადლობა. ყველა ჩვენგანს ახსოვს სამაგალითო, დაუღალავი, მძიმე და ეკლით მოფენილ გზაზედ თქვენი კეთილი მოღვაწეობა ამ ოცდა ხუთის წლის განმავლობაში. ამ ხანში თქვენ დაუცხრომელად იფარავდით ჩვენ შორის პატიოსნებას, სიმართლეს და ჭეშმარიტებას.

შარშანდელმა წელმა ხომ უფრო ნათლად დაგვარწმუნა, რომ თქვენთვის უძვირფასესია არა თუ მარტო კეთილ სამართლიანი მსაჯულობა, არამედ სიცოცხლეც თვითეულის წევრისა თქვენს უწყებაში. თქვენ და ჩვენ დავუახლოვდით ცხოვრებით ერთმანეთს. თქვენ, როგორც წევრი, საზოგადოებისა, გულ-გრილად არ დაუწყეთ ცქერა იმ საშინელ განსაცდელს, როდესაც ყველა ელოდა სიკვდილს. მართლადაც თქვენმა თავ-გამოდებამ თავ-განწირულებამ, გასწმინდა, გაასუფთავა ის მიდამო თქვენის უწყებისა, რომელიც თქვენს ხელში იყო ამ უკანასკნელ ოცდა ხუთის წლის განმავლობაში, და მით ჩვენი სიცოცხლე და უვნებლობა უზრუნველ ყოფილი შეიქმნა. თქვენ დაიფარეთ, როგორც სული, ისე ხორცი ჩვენი სიკვდილისა, და წაწყმედისაგან.

ყოველა მის გამო ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ, გამოგიცხადოთ გულითადი მადლობა და ვისურვოთ თქვენთვის სიცოცხლე მრავალ-ჟამიერ თქვენის უწყების საკეთილ-დღეოდა და საბედნიეროდ“.

შემდეგ წინამძღვარიანთ-კარის სკოლის ხუთმა შეგირდმა მიართვა სკოლის მზრუნველს და მამას თავიანთი ნაკეთები ხის საწერლელი და ქაღალდის საჭრელი დანა; ერთმა შეგირდმა ხევსურმა—წიკლაურმა უთხრა ბ-ნს წინამძღვრი-შვილს სიტყვა და მასწავლებელმა დ. დავითიშვილმა წაუკითხა იუბილიარს თავისი ლექსი. გუშინ, 21 თებერვალს, მოუვიდა პოლტავიდგან სტარიცკისაგან და პეტერბურგიდამ—სენატორ ანდრეევისაგან, ყაზანის პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე რაშეტისაგან ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ბიკოვისაგან და ვარშავის მომრიგებელ მოსამართლეთა კრების თავმჯდომარე კრაშენინიკოვისაგან მოლოცვა 25 წლის იუბილეისა.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ დიმიტრი ნადარეიშვილისაგან სამი მანეთი ბ-ნ თ. ჟორდანიას საისტორიო ქრონიკების დასაკვეთად. ამ ფულისა აქამდე გვქონდა 280 მ.ნ. ამითი შესდგა 283 მან.

*** მის უგანათლებულესობა ბუხრის ემირმა სხვათა შორის დააჯილდოვა „ამომავალ ვარსკვლავის“ ორდენით, მესამე ხარისხისა: ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი კონდუქტორი ვ. ლორთქიფანიძე და ტფილისის რკინის გზის სადგურის ბუფეტის პატრონი ევ. ჩხარტიშვილი.

*** მომავალ გაზაფხულს, 25 და 26 აპრილს და 2 მაისს, ტფილისში დოღი გაიმართება.

*** 18 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნული იყო გარჩევა ბ-ნ ნ. მაჭავარიანის საქმისა. ბ-ნი ნ. მაჭავარიანი უჩიოდა რკინის გზას, რომ ამ გზაზედ სამსახურის დროს, 1891 წელს, დავშავდიო. პალატამ გადასწყვიტა, დაეკისროს რკინის გზის მმართველობას, თთვეში 18 მან. აძლიოს დაშავებულსაო. რაც ხანი გასულა დაშავების დღიდამ, ისიც შეიკცოს ერთმანეთზედ და მიეცეს დაშავებულსაო.

*** ჩვეულობრივი ლატარეია-ალეგრი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ წელსაც გაიმართება მუშთეიდში აპრილის გასულს, ან მაისის დამდეგს. თხოვნა ნება-რთვის აღებისა უკვე მიურთმევიათ ტფილისის გუბერნატორისათვის. სალატარეიო ნივთების შეწირულებანი მიიღება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძის მიერ. შემოწირულთა გვარი და სახელი შემოწირულებითურთ თავის დროზე გამოცხადდება გაზეთში. ამ ყოველ-წლიურმა ლატარეია ალეგრიმ უკვე დაიმსახურა ყურადღება საზოგადოებისა და, იმედია, დამსწრენი წელსაც ისეთს სიამოვნებასა ჰნახავენ, როგორც წინად, და მით საზოგადო საქმესაც დაეხმარებიან.

*** გუშინ-წინ, 21 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე, ტფილისის სამუსიკო კრუჟოკის დარბაზში გაიმართა პირველი კრება კავკასიის მკურნალთა, ხოლერასთან საბრძოლველ ღონისძიებათა გამოსარკვევად. ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო კრებას. მთელი დარბაზი კრებისა სავსე იყო ხალხით. კრებას სხვათა შორის დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი, გრაფი ი. დ. ტატიშჩევი, კავალერიის გენერალი ზ. გ. ჭავჭავაძე, კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველი ტაინი სოვეტნიკი ე. პ. იანოვსკი, ტფილისის გუბერნატორი თ. გ. დ. შერვაშიძე, ტფილისის ქალაქის მოურავი თ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი, საქართველოს ექსარხოსი ვლადიმერი.

კრება დაიწყო კრების თავმჯდომარის, მკურნალ ბ-ნ შლიახტინის სიტყვით. ბ-ნ შლიახტინმა თავის სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა:

„ჩვენ, გვსურს მივეშველოთ შეძლებისა გვარად კავკასიის მცხოვრებთ, თუ წლეულს ხოლერა გაჩნდა. ეს საქმე ფრიად რთული და ძნელია და ამიტომ უნდა ვეცადნეთ, რაც შეიძლება სინიდისიერად მოვეკიდოთ ჩვენს საქმესაო.

მერე მისმა ყოვლად უსამღვდელოესმა ექსარხოსმა დალოცა კრება და განაცხადა სურვილი, რომ კრებამ თავისი მოვალეობა ღირსეულად აასრულოსო. შემდეგ საზოგადოების მდივანმა, მკურნალმა ბ-ნმა გრიგორიევმა წაიკითხა თავისი მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჰიგიენას ხალხის ჯან-მრთელობისათვის. ბ-ნ გრიგორიევის გარდა თავ-თავისი მოხსენება წაიკითხეს— ბ-ნმა უმისამ და ბერლინგერმა: ამ მკურნალებმა ასწერეს, თუ როგორ გავრცელდა შარშან ხოლერა კავკასიაში და რამდენი ხალხი იმსხვერპლა

*** 21 თებერვალს რკინის გზის სადგურ მცხეთასთან კლდიდგან ჩამოვარდა უზარ-მაზარი ქვა და დაეცა რკინის გზის ლიანდაგს. რელსები სულ დაამტვრია. ტფილისიდგან მიმავალი მატარებელი კინაღამ დაეტაკა ამ ქვას და ეჭვი არ არის დიდი უბედურობა დატრიალდებოდა, რომ რკინის გზის დარაჯი არ მოსწრებოდა და მატარებელი არ დაეყენებინა.

*** გორი: ჩვენს ქალაქში იმოდენა ლაფი, შედედებული ტალახები და წუმპეებია, რომ ქუჩის ერთ ნაპირიდამ მეორე ნაპირზედ გადასვლა შეუძლებელია. ქალაქის გამგეობამ მისწერაო სანიტარებს, რომ საქმეს შეუდექით და ქალაქის გასუფთავებისათვის იფიქრეთო. ძალიან კარგს ინებებს ქალაქის გამგეობა, რომ ქუჩები დაახვეტინოს და მყრალი ტა-

ლახი გაატაჰინოს. სხვას-კი ნუ აჰყვეს თავის მოვალეობას, თავის პირდაპირ საქმეს, თვითონაც ხელი გაანძრიოს, რომ უფრო მალე გაკეთდეს საქმე.

*** სოფ. ქემერტში, გორის მაზრაში, ყვავილი გაჩენილა; ამიტომ ტფილისის გუბერნიის სამკურნალოს გამგეობას გაუგზავნია ცხინვალის ექიმი.

*** ქუთაისი: 19 და 20 თებერვალს აქაურმა ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე მომრიგებელ შუა-კაცისა ბერ. გრ. მხეიძისა, რომელმაც შარშან 8 ნოემბერს სოფელს ნოსირს ხელის-შეხებით შეურაცხყოფა მიაყენა სენაკის მაზრის უფროსს ბ-ნ გ. გ. ბებურიშვილს. საქმის განხილვიდამ აღმოჩნდა, რომ თავად მხეიძემ ბ-ნი ბებურიშვილი შეურაცხჰყო სამსახურის მოვალეობის აღსრულების გამო და ამიტომ სასამართლომ შემდეგი განაჩენი დასდო: ბრალდებულ თავ. მხეიძეს აეხადოს ზოგიერთი უფლება და უპირატესობა და დაპატიმრებულ იქმნას ერთის წლის ვადით. ბრალმდებელი იყო ამხანაგი პროკურორისა ასკერბეკ ადიგეზალოვი; თავ. მხეიძის მხრივ მოწვეული იყო ტფილისელი ნაფიცი ვექილი ბ-ნი ოპოჩინინი. ხალხი მრავალი დაესწრო, როგორც აქაური, ისე მოსულები, განსაკუთრებით სამეგრელოდამ.

*** სიღნაღი: ჩვენშიაც მზადებაა ხოლერის დასახვედრად, თუ ვინიცობაა კვლავ გვეწვევა ხოლერა. ამას წინად მაზრის უფროსმა მიიწვია მაზრისავე სამმართველოში სიღნაღის მოქალაქენი სათათბიროდ ამ საქმის შესახებ.

თებერვლის 4-ს იყო სომხური წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით. შემოსავალი უნდა გარდაეცეს სომხისავე საეკკლესიო სასწავლებლის ღარიბ შეგირდებს. წარმოადგინეს „დალალ-ღალო“, 2 მოქმედებად, თხზ. ფულინიანცისა, და „ესეც ნიშნობა“, ვოდევილი 1 მოქმედებად, თხზ. ტერ-გრიგორიანცისა. წარმოდგენაზე ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო. „დალალ-ღალო“-მ ცოტა უფერულად ჩაიარა, სამაგიეროდ მეორე ვოდევილი მშვენივრად ითამაშეს. ბევრიც იცინა საზოგადოებამ. მშვენივრად და ხელოვნურად შეასრულა თავისი როლი ქ-ბნმა ტერ-სტეფანოვისამ და დავით ტერ-სტეფანოვმა. ეს ცოლ-ქმარნი თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, აბა, ვინ უფრო უკეთ ითამაშებსო. შავერდოვსაც არა უჭირდა-რა; ტერ-ოჰანესიანცმა ურიგოდ არ შეასრულა დალალ ღალოს როლი. ჩვენს ჯიბე-სქელობას აბა რაში ეპიტნავებათ თეატრი. იგინი სხედან ან ნოტარიუსის კანტორაში, ან ადვოკატებთან და სწერენ «ნეუსტოიკის» საბუთებს, სხვა დარდი არა აქვთ-რა.

*** ს. კარდენახი (სიღნაღის მაზრა): 5 თებერვალს იყო აქ წარმოდგენა სასწავლებლის დარბაზში. წარმოადგინეს: „ოინბაზობა“, კომედია, ერთ-მოქმედებად და „ორ-ცეცხლ შუა“, კომედია ერთ მოქმედებად. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ლეკური. წარმოდგენის შემოსავალი საქველ-მოქმედოდ იყო დანიშნული და უნდა მოეხმარდეს იმ ოჯახებს, სადაც ხოლერით დაავადებულებს დააწვენენ, თუ ვინიცობაა გვეწვია. შემოსავალი, ხარჯის გარდა, 15 მანეთამდე დარჩა. სცენის მოყვარულნი თავიანთ როლებს თამაშობდნენ კარგად, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გამოთქმა არ უვარგოდათ. ორიოდემ კიდევ არ იცოდა რიგიანად როლი. ქ-ნი თათაროვისა კარგად ასრულებდა როლს, სამადოვისა უფრო წყნარად და რიგზე თამაშობდა, ბ-ნი ლომიძე ძლიერ აჭარბებდა, ნამეტნავად, როცა სიმთვრალე უნდა წარმოედგინა. დიდად კმაყოფილი დაბრუნდა ხალხი, ნამეტნავად გლეხობა, მადლობის ღირსნი არიან ასეთის საქმის მოთავენი. სცენა სულ ორ დღეში ხელოვნურად და კოპწიად მორთეს, ხალხი მიიზიდეს. თავადი, გლეხი, ქალი და კაცი სულგანაბულნი გაფაციცებით უგდებდნენ ყურს წარმოდგენას.

*** სიღნაღიდამ: 8 თებერვალს დიდი ამბავი ჰქონდა მდაბიო ხალხს ყეენობის გამო: სიღნაღელებს ორი ყეენი ჰყავდათ ამ დღეს. საღამოზედ კრივისთვისაც ემზადებოდნენ, მაგრამ პოლიცია წინაამდეგი იყო. კრივი მაინც გაიმართა მცირეოდნად.

სოფლებიდამ შემოგვჩივიან, რომ უდიერმა ზამთარმა ლამის საქონელი გაგვიწყვიტოსო, სიცივემ დააძრო და გვეხოცებაო. როგორც ჰხედავთ, შარშანდელმა ზაფხულმა ხოლერით გაგვიჭირა საქმე და ამ ზამთარმა კიდევ სიცივით. ღმერთმა უარესისაგან მაინც დაგვიხსნას და რა ვქნათ, რაც მოგვივიდა-მოგვივიდა.

*** ს. ქუქუთი (ოზურგეთის მაზრა): წელს ნათლისღება დღეს, ქაქუთის მღვდელმა, მ. გიორგი კონტრიძემ აკურთხა ჩოლოქის წყალი. ეს წყალი, როგორც მკითხველებმა იციან, საზღვარი იყო ამ ბოლო ომიანობამდის თათრის და რუსის სახელმწიფოებისა. საზღვრის დანიშვნამდის ამ წყლის ორთავე ნაპირზედ სცხოვრობდნენ ქართველი ქრისტიანები, მაგრამ, როცა ეს წყალი საზღვრად დაინიშნა, შემდეგ გაღმა ნაპირზედ მცხოვრებნი გაამაჰმადიანეს და ამ ნაირად დააშორეს ერთმანეთის ძმობას და ერთობას. ეხლა-კი, როცა საზღვარი უფრო ქვევით დაინიშნა, ისევ განახლდა თითქმის უმანდელი ძმობა და ერთობა, გარდა სჯულისა. ისევ დაიწყეს ერთმანეთში მისვლა მოსვლა და მეზობლობა, მაგრამ ყველაზედ უფრო დამაკავშირებელი ამ განშორებულ ძმებისა პატარა სამრევლო სკოლაა, რომელიც აქ გახსნა ორი წლის წინად ბ. რ. კონტრიძემ, რომელშიაც დაიწყეს სწავლა ქართველ-მაჰმადიანების ყმაწვილებმაც. გარდა ამისა ამ სკოლაში გამოდიან გაღმიდამ დიდრონი მაჰმადიანებიც და დიდის ცნობის მოყვარეობით ისმენენ მასწავლებლის საუბარს, აძლევენ სხვა-და-სხვა კითხვებს სწავლა განათლების შესახებ და სხ.. ზემოხსენებულმა მღვდელმა აკურთხა ჩოლოქის წყალი, რომლის კურთხევაზედ დაესწრო ოც-და-ათზედ მეტი მაჰმადიანი. წყლის კურთხევის შემდეგ მასწავლებელმა ბ. რ. კონტრიძემ წარმოსთქვა საყურადღებო სიტყვა, რომელშიაც გამოხატა, როგორც ამ დღესასწაულის დანიშნულება, ისე, უმანდელი ძმობა და ერთობა ამ წყლის გაღმა-გამოღმა მცხოვრებთა შორის; შემდეგ სხვა-და-სხვა მიზეზები იმათ განშორებისა და მათ შორის მტრობის და სიძულვილის ჩამოვარდნისა, და ბოლოს სთქვა, რომ სანატრელი იქნებოდა ის დაკარგული ძმობა—ერთობა აღგვედგინაო. ყველა დიდი ნასიამოვნები დარჩნენ ამ სიტყვის მოსმენით. შემდეგ, ჩვეულებისამებრ, გამართეს „შელუდი“ (ხალპით თოფის სროლა), რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ყველა იქ მყოფმა მაჰმადიანებმა, და ბოლოს სიმღერით და თამაშობით განშორდნენ ერთმანეთს.

*** სოფ. წყალ (შორაპნის მაზრა): ამ ჟამად წეველები დიდს გაჭირვებაში ვართ უგზოობის გამო. წევიდგან მხოლოდ ერთად-ერთი გზაა ურმისა დაბა ზესტაფონისკენ და სადგურ ძირულისკენ. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა მდგომარეობაშია ეს გზა: ალაგ-ალაგ მიწის ზვავებია ჩამოწოლილი და არა თუ ურმით, ცხენითაც გასაჭირია სიარული. მდინარე ძირულაზე ერთი ხიდია, რომელსაც არც იატაკი აქვს ხეირიანი და არც ბოძები. ასე რომ, როდესაც დატვირთულ ურმის გადატანაა ამ ხიდზე საჭირო, პატრონმა უსათუოდ ჯერ ხარები უნდა გამოუშვას ურმიდგან და წყალში გაიყვანოს, მერე ტვირთი თითო-თითოდ ზურგით უნდა გადაიტანოს და ბოლოს ურემი ცალკე. ამას წინად ხიდზედ ერთს ქალსა და ერთს კაცს უნდა გაევლოთ, მოადგნენ მდინარეს და ხიდზე გასვლის მდინარეში ირჩიეს და ცხენები წყალში შეაგდეს. ცხენი, რომელზედაც ქალი იჯდა, ჩავარდა ერთბაშად და თითქმის მთლად დაიმალა; ქალი გადმოვარდა ცხენიდგან და კინაღამ დაირჩო. შემთხვევით ახლო-მახლო მგზავრები დაესწრნენ და ქალი გადაარჩინეს. საჭიროა, ამ ხიდს ყურადღება მიაქციონ და შეაკეთონ, მით უმეტეს რომ არც თუ ძლიერ ძვირად დაჯდება ამ ხიდის შეკეთება.

*** ფოთი: დიდი ხარჯი გასწია და ბევრიც იშრომა ჩვენმა ქალაქმა დაუპატიჟებელ სტუმრის დასახვედრად. წარსულმა მაგალითმა ცხადად დაგვანახვა, რომ სუფთად ცხოვრება უტყუარი იარაღი ყოფილა ყოველგვარ სენის გასაქარვებლად.

აქ წვიმიანი დღეები დაგვიდგა: ქუჩები საშინლად ატალახიანდა. შუა ბაზარში, სადაც ყასბები ვაჭრობენ, დუქნებს უკან პატარა მოედანი გახლავთ, ზედ გადადგმული თავლები და ფეხის ადგილები, ყოველ-გვარ ნაგავს უწმინდურებას იმაში ჰყრიან და საზიზღრად აჯენჯღებულია იქაურობა. ხოლერის გამოსაჩეკი ადგილიც ამისთანა ჰაობია. რას გვიმზადებს გაზაფხულისათვის ეს პაწია, მაგრამ დიდად მავნებელი ჯანმრთელობისათვის ტბა, ღმერთმა უწყის. დიდი სამადლებელი საქმე იქნება ამის ამოშრობა.

*** ქუთაისი: იანვარი დადგა და ფოთში ყვავილმაც იჩინა თავი. ავადმყოფები ჯერ-ჯერობით უზარლოდ იხდიან ამ სენს, იმსხვერპლა მხოლოდ 1 ოთხის წლის ბავშვი. ეხლა 2-ია ავად.

იანვარში ბათუმიდამ პატიმრები ჩამოიყვანეს ფოთის საპატიმროში. ქალაქის ექიმმა გასინჯა და აღმოჩნდა, რომ იგინი ავად ყოფილან საოფლეთი და ინფლუენციით. შესაფერი ღონე მაშინვე მიღებულ იქმნა. 14 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის ექიმის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ბ. ტრაპი მობძანდა აქ, მკაცრად დაათვალიერა, როგორც საპატიმრო, ეგრეთვე ავადმყოფნი და კარგად მყოფნი პატიმრებიც. ისიც დარწმუნდა, რომ მართლა ავადმყოფობა იყო მოდებული. სხვა მხრივ საპატიმროს მდგომარეობით კმაყოფილი დარჩა. საოფლით ავადმყოფი 4 გამოდგა, 5-კი—ინფლუენციით. ქალაქის ექიმი სწამლობს მათ და მუდმივ თავს ადგიათ მომვლელად განგებ დაქირავებული ფერშალი. მაგრამ ამ საგნისათვის სახარჯო ფულის წყარო საპატიმროს ჯერ-ჯერობით არა აქვს აღმოჩენილი. აქამომდე ხარჯი ქალაქმა გასწია. ბ. ტრაპის მობრძანებამდის 2 პატიმარი საოფლეთი გარდაიცვალა.

ქუთაისი: ბ. ნოდიამ ამას წინად წიგნის მაღაზია დააარსა. იქვე გაჰმართა საჯარო წიგნთ-საცავიც. ფოთის ახალგაზდობა სიხარულით მიეგება ამ კეთილ საქმეს: სამ-სამი მანეთი შეიტანა თითო ხელის მომწერმა იმ პირობით, რომ სამკითხველო ჟურნალ-გაზეთები გამოეწერათ. ჩვენდა სამწუხაროდ, ბ. ნოდიამ ეს ვერ შეასრულა და ხელის მომწერლები ჩამოეცალნენ. აქაურმა მესტამბე ლ. ტუღუშმა ნება-რთვა მიიღო წიგნის მაღაზიის და საჯარო წიგნთ-საცავის დაარსებისა. ვნახოთ, რომელი უფრო დააკმაყოფილებს საზოგადოების სურვილს.

*** იმ უთანხმოებისა გამო, რომელიც მოხდა ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს ბ-ნ ხარკოვსა და ამავე სასწავლებლის მასწავლებელთა კომიტეტს შორის, სამოქალაქო სასწავლებელთა კომიტეტმა სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი ბ-ნი ხარკოვი და ინსპექტორი ბ-ნი ლოლობერიძე (სამსახურიდგან დაითხოვა, ხოლო მათ ადგილს დროებით დანიშნა: დირექტორის მოადგილეთ — იმავე სასწავლებლის მასწავლებელი ვ. რცხილაძე და ინსპექტორად — ბ-ნი მელიქ-ალავერდოვი. (Н. О.).

*** გაზეთ „Н. О.“-ს სიტყვით, ტფილისის სარკინის-გზო სატეხნიკო სასწავლებლის მმართველობას განუზრახავს სთხოვოს გზათა სამინისტროს ამ სასწავლებელთან პარალელური კლასები დააარსონ, რადგან ძლიიერ ბევრია სწავლის მსურველიო.

*** 20 თებერვალს ნიკოლოზის ქუჩაზე თავ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანის სახლის შესავალ კარებთან იპოვნეს ორის თთვის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს ოლგას ქუჩაზე კიდევ იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი და ისიც საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა საგანგებო კრება

15 თებერვალს

თავმჯდომარეობდა გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი დ. ა. მაღალაშვილი.

წაკითხული იქმნა ბანკის მმართველობის მოხსენება კონვერსიის შესახებ.

ბ-ნი ა. ფურცელაძე დაეკითხა მმართველობას, მოხსენებაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო ბანკის დახმარებით მოვახდინოთ კონვერსიაო. მაშ რაღა საჭიროა სხვათა საშუალებათა დასახელება, რაღად ითხოვთ ნებართვას, რომ ან კერძო ბანკები დაიხმაროთ, ან არა და კიდევ ჩვენის ბანკის თანხით მოახდინოთ კონვერსიაო?

თ. დ. ავალიშვილმა უპასუხა, რომ ჩვენ გვირჩევნიან სახელმწიფო ბანკი დაგვეხმაროს, რადგანაც ამ შემთხვევაში მსესხებელთ არა ვითარი ხარჯი არ მოუვათ, თანხმად ფინანსთა სამინისტროს განკარგულებისა. ხოლო ეს განკარგულება შეეხებოდა რუსეთის სააქციონერო ბანკებს და არა ჩვენსას. ამ ბანკებს პირველად ნაბრძანები ჰქონდათ, უთუოდ მოეხდინათ კონვერსია თავისის თანხით, მაგრამ როდესაც ბანკებმა განაცხადეს, რომ ეს შეუძლებელიაო, მაშინ მინისტრმა სახელმწიფო ბანკს დაავალა დახმარება უსასყიდლოდ. ამ რიგად რუსეთში ყველა ბანკებმა მოახდინეს კონვერსია და დარჩა მხოლოდ ჩვენი და ქუთაისისა. ახლა ვფიქრობთ, თუ მინისტრმა, რაიმე მოსაზრების გამო, სახელმწიფო ბანკის დახმარებაზედ უარი გვითხრა, ან ჩვენის თანხით უნდა მოვახდინოთ კონვერსია ნაწილ-ნაწილად, შეძლების გვარად, ან კერძო ბანკების დახმარებით, რათა, თუ ერთს არა, რამდენსამე წელს მაინც დამთავრდეს ეს სასარგებლო საქმე.

ბ-ნი ა. კობიაშვილი. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ზედამხედველს კომიტეტს საჭიროდ დაუნახავს კონვერსიის წესის აღბეჭდვა და ბანკის მმართველობას-კი ეს არ შეუსრულებია, თუმცა მართლა საჭირო იყო, რომ ყველას ნათლად გაგვეგო და ისე წარმოგვეთქვა ჩვენი აზრი: ჰო, თუ არა. წინად რო კონვერსიაზე გვქონდა სჯა, არ ვიცოდით, რა წესით უნდა მომხდარიყო კონვერსია, და ამის გამო იმ კონვერსიით, რომელიც რუსეთის ბანკებმა მოახდინეს, დაჰკარგეს 200,000 მანეთი. ჩვენც რომ ასეთი საქმე არ დაგვემართოს, საჭიროა, ყოველივე, რაც-კი კონვერსიას შეეხება, წინდაწინვე ვიცოდეთ.

თ. ი. ჭავჭავაძე. იმ წესს, რომელზედაც ბ-ნი კობიაშვილი ბრძანებს, ჩვენ ვერ დავბეჭდავდით, რადგანაც სამინისტრო წესის გადმობეჭდვა, საცენზურო წესდების ძალით, აღგვეკრძალებოდა.

თ. დ. გურამიშვილი. კონვერსიის წესდების გადმობეჭდვა ყველას შეუძლიან, ხოლო წიგნს ზედ უნდა დააწეროს „კერძო გამოცემა“. მე თვითონაც გადმომიბეჭდია სხვა-და-სხვა წესდება და ცენზორს არ დაუშლია.

გ. სულხანიშვილმა სთქვა, რომ მე მქონდა ამისთანა შემთხვევა: კანონმდებლობა უნდა გადმომებეჭდა და ცენზორმა ნება არ დამრთოვო.

თ. ი. ჭავჭავაძე. მე-კი მგონია, რომ გადმობეჭდვის ნება არა გვაქვს. მაინცა და მაინც, არც ეგრე საჭირო იყო ცალკე გადაბეჭდვა წესდებისა. აი დაბეჭდილი აქ არის და, თუ გნებავთ, წავიკითხოთ. სულ რამდენიმე მუხლია.

თ. დ. ავალიშვილი. ჩვენს მოხსენებაშიაც არის უმთავრესი საფუძველი ამ წესისა და ეს ლაპარაკი სულ მეტია.

რაც შეეხება ბ-ნ კობიაშვილის სიტყვას, რუსეთის ბანკებმა 200,000 მ. იზარალესო, ეს მართალია, მაგრამ ზარალი მხოლოდ მსესხებელთ მოუვიდათ, რადგანაც იმათ ჯიბიდგან ეძლეოდა 1% იმ სინდიკატს, რომელმაც კონვერსიაში დახმარება აღმოუჩინა ბანკებს. როცა სამინისტრომ დაინახა, რომ მსესხებელთ მეტი ხარჯი დაატყდათ, სინდიკატს გირავნობის ფურცლის (6%) გარდაცვლით მეორეზე (5%), ერთის კალმის მოსმისათვის შეუფერებელი მოგება მიეცა, ამისათვის სამინისტრომ მოიწადინა, კონვერსია მოხდეს სახელმწიფო ბანკის შემწეობით, რათა მსესხებელს არაფერი არ გადახდეს და, რაც ხარჯი იქნება სახელმწიფო ბანკისა, ესე იგი 1/3% ათასიდამ, თითონ ბანკებმა გადიხადონო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სამინისტრო ჩვენს თხოვნასაც შეიწყნარებს და იმ წესითვე მოგვახდენინებს კონვერსიას, როგორც რუსეთის სააქციონერო ბანკებმა მოახდინეს. მაგრამ წინდაწინვე არ შეგვიძლიან დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ ეს ასე მოხდება. ვინ იცის, იქნება სამინისტრომ უკეთესი წესიც გვიჩვენოს და კონვერსიის მოსახდენად არავითარი სარგებელი არ გაგვაღებინოს. ეს მით უმეტეს საფიქრებელია, რომ ჩვენი ბანკი სააქციონერო არ არის და მის მოგებას საზოგადო დანიშნულება აქვს. თუ-კი რუსეთის სააქციონერო ბანკებს ისეთი მზრუნველობა აღმოუჩინა სამინისტრომ, რომ თითქმის ყოველივე საკონვერსიო ხარჯი ააცილა მსესხებელთ, ჩვენ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უფრო დაგვეხმარება. როგორც ჰხედავთ, თვით სამინისტრო ზრუნავს კონვერსიისათვის; კონვერსია სახელმწიფოს საქმეა, და ჩვენ იმ წესით კონვერსიას არავინ მოგვახდენინებს, რომ ვისთვისმე საზარალო იყოს.

ბ-ნმა ს. კობიაშვილმა სთქვა, რომ მე თანხმა ვარ, მარტო სახელმწიფო ბანკის დახმარებით მოხდეს კონვერსია. იმ პირობით-კი, რომ კონვერსიის წესი, რომელსაც სამინისტრო დაგვიდებს, ჩვენგანვე გასინჯული იყოსო. რაც შეეხება მეორე სახეს კონვერსიისას, ესე იგი, ნაწილ-ნაწილად მის მოხდენას ჩვენის ბანკის ფულით, მე მაგისი წინააღმდეგი ვარ, რადგან ეს გზა, ჯერ ერთი რომ საშიშია და მეორეც—მაგისათვის ფული არა გვაქვსო. ბანკის მმართველობა ამბობს, რომ მაგ საქმეს შეიძლება მოვახმაროთ თავისუფალი ნაწილი სამოქმედო ფულისაო (оборотный капиталъ). მე არ მესმის, რა არის თავისუფალი ფული და სამოქმედო და გამგეობასა ვსთხოვ აგვიხსნას.

თ. ი. ჭავჭავაძე. სამოქმედო ფული ყოველი ის შემოსული ბანკში ფულია, რომელიც ვადამდე ბანკის მიერ არავისთვის გასაცემი არ არის. მაგალითებრ, თავნსა და სარგებელში შემოტანილი ფული. ეს ერთი. მეორე, რაც-კი თავისი ფული აქვს ბანკს, გარდა სათადარიგო თარხისა. ეს სულ ერთად სამოქმედო ფულია. ყოველ ამ სამოქმედო ფულიდამ სრულად თავისუფალი მარტო ბანკის ძირის ფულია და ბანკის მოგების ფული. აი მარტო ეს უკანასკნელი, ორნაირი ფული თავისუფალია, რადგანაც ვადაზედ არავისათვის მისაცემი არ არის და ბანკს ეკუთვნის.

(შემდეგი იქნება)

## ქუთათური თეატრი

წერილი მეორე

ქ-ნ ეფ. მესხის ბენეფისი

უკანასკნელმა წარმოდგენამ სრულიად შესცვალა ჩემ მიერ მოაზრებულ სათეატრო წერილების რიგი. ის, რაც ბოლოში უნდა მომეხსენებინა, ეხლავ თხოულობს ბრძანებლობის კილოთი აღნიშვნას და მთელს ჩემს ყურადღებას. ყოველ დღიური გაზეთი გვერდს ვერ აუხვევს საზოგადო თვალ-საჩინო რამ ამბავს და სწორედ ამნაირ ამბად უნდა ჩაითვალოს ჩვენის შესანიშნავ დრამატიულ არტისტი-ქალის ქ-ნ ეფ. მესხის ბენეფისი.

ის თანაგრძნობა, რომელიც დაუმტკიცა თავის საყვარელ არტისტ ქალს საზოგადოებამ, იმ ნაირი პატარა ქალაქისათვის, როგორიც არის ქუთაისი, ნამდვილ აპოთეოზად და თაყვანის-ცემად უნდა მივიჩნიოთ. აკაკი მართალია, როცა „კვალის“ მე-3 ნომერში ამბობს: ჩვენი მოღვაწენი არც ერთს ასპარეზზე, გარდა სცენისა, სიცოცხლეშივე არ არიან საკმაოდ დაფასებულნი ჩვენის საზოგადოებისაგანაო; სცენის მოყვარულნი-კი, თუ ცოტაოდენი ნიჭი შესწევთ, თავიდანვე დაფასებულნიც და საკმაოდ დაჯილდოვებულნიც არიანო. ეს აზრი ცხადად დაამტკიცა ქუთათურმა საზოგადოებამ წლევანდელ სათეატრო სეზონში.

უკანასკნელ წარმოდგენას მაინც მოუთმენლად მოელოდა მთელი საზოგადოება და ბევრი საჩუქრები დაუმზადა არტისტ ქალს, შეძლებისამებრ, რასაკვირველია. მობენეფისეს, საჩუქრები ყოველ ამისთანა შემთხვევაში, უეჭველია, წინადვე აქვს დამსახურებული ნიჭიერის თამაშობით და სინიდისიერის შრომით, მაგრამ რამდენად სასიამოვნოა ხოლმე როდესაც ბენეფისის დროსაც არ გაუმტყუნებს მოთამაშე იმედს პატივისა და თაყვანის მცემელ საზოგადოებას. რა დაკმაყოფილებული და თითქმის თავმოწონებული გამოდის თეატრიდგან საზოგადოება, როცა, მოთამაშე შეეწონება ამ პატივისცემას და გადააჭარბებს კიდეც მოლოდინს!

სწორედ ასედაც მოხდა იმ წარმოდგენაზე, როცა მობენეფისე ბ-ნი ეფ. მესხისა ასრულებდა მარგარიტა გოტიეს როლს *). მაგრამ, სანამ მოვყვებოდეთ მის ხელოვნურ და გულწარმტაც თამაშობის აღწერას, ნება მიბოძეთ, გავაცნოთ „ივერიის“ მკითხველთ ამ შესანიშნავის დრამის შინაარსი. ეს საჭიროა ორის მიზეზის გამო. ერთი მისთვის, რომ, ჩემის აზრით, ეს დრამა დღეიდგან შესამჩნევ ალაგს დაიჭერს ჩვენს ღარიბ რეპერტუარში (მართალია, ენის მხრივ ცოტა კოჭლობს, როგორც ამბობენ მცოდნე კაცნი, და შალაშინს მოითხოვს, მაგრამ ეს ნაკლი ადვილად გასწორდება); მეორე მისთვის, რომ საჭიროა ჯერ შინაარსი გაიცნოს კაცმა და მერე თამაშობა დააფასოს.

ეს დრამა „მარგარიტა გოტიე“, ანუ ქალი კამელიებით (Le dame aux camelias) ეკუთვნის საფრანგეთის შესანიშნავ დრამების მწერალს უმცროს დიუმას ანუ, როგორც იმას უწოდებენ, დიუმაშვილს. ეს დრამა იმის სიყრმის ნაწარმოებია, და რაც-კი მოიძებნება ჭაბუკის გულში გრძნობის ძალა და ცეცხლი, შიგაა ჩართული. ოც-და-ათი წელი მეტია, რაც იგი სცენაზეა, მაგრამ ჯერ კიდევ თავის სიახლე და სიტურფე არ დაუკარგავს და არც დაჰკარგავს, სანამ სიყვარულს თავის ჯადო ხელთ ექნება. დიაღ, მთელი დრამა სიყვარულზეა აშენებული. სიყვარული, რასაკვირველია, ძველი რამ არის, ისეთი ძველი, როგორც ეს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ მუდამ ახალიც არის—ისე, როგორც ყოველი ახალ-თაობა, სიყმაწვილე, სიჭაბუკე. სიყვარული თავის დღეში ვერ იტყვის თავის უკანასკნელ სიტყვას, რადგან იგი „შესაგნებელ“ და შესასწავლელი საგანი როდია, არამედ საგრძნობი და გამოსაცადი. რუსეთის გამოჩენილმა მწერალმა ტურგენიევმა ერთ თავის მშვენიერს მოთხრობას დაარქვა სახელად „ძლევა-მოსილის სიყვარულის საგალობელი“ (Пѣснь торжествующей любви); ჩვენც რომ ასე მოკლედ მოვინდომოთ დიუმას დრამის დახასიათება, შეგვიძლიან დავარქვათ „დაძლეულის სიყვარულის ამოკვნესა“. დიაღ, ამ დრამაში გულ-გაგმირულია სიყვარულ-აგზნებული, დაუშრეტელ და უზენაესის ძალით აღფრთოვანებული ადამიანი.

მაგრამ დროა, მოვისმინოთ თვით დრამა. დაბალ წოდების ასული—შემთხვევის შვილიო, როგორც თვით ამბობს,—კეკლუცი, ტურფა, გულკეთილი, უდარდელი და მხიარულის ხასიათის ახალგაზდა ქალი—მარგარიტა გოტიე— გახდება სატრფიალო და სათაყვანო მთელის პარიჟის დიდკაცობისა. მდიდარი და დიდის გვარის ახალგაზდები, თუ ხანში შესულები, ერთნაირად მიისწრაფიან მისკენ თავის სიმდიდრით და სიყვარულით და ფეხქვეშ ეგებიან. მარგარიტა მბრძანებლობს და მეფობს ამ საზოგადოებაში, მაგრამ არც ფულის მოყვარულია და არც გულ-ხარბია. მხოლოდ ის უნდა, რომ სასიამოვნოდ გაატაროს დრო და მართლაც ხარბად დასწაფებია მხიარულ და უდარდელ ცხოვრებას. ის არის თავის ქეიფის არსება და მასთან გულკეთილი ბავშვი. თუმცა ბევრი რამ გადაჰხედია ამ ახალგაზდა ქალს და არა ერთისა და ორის ჟინი და ვნება დაუტკბია, მაგრამ ამ გარეგანს ჰუჰყს გულამდე არ მიუღწევია, გულით წმინდა და უმანკო დარჩენილა. ლამაზს მარგარიტას არავინ ჰყვარებია, იმის გულის კლიტე ჯერ არავის უგდია ხელთ. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ პირველად დიუმამ და სწორედ ამ დრამაში გვაჩვენა, რომ ხშირად თითქოს გარყვნილისა და მრუშის ქალის გული სპეტაკი რჩება და მხოლოდ შემთხვევას უცდის, რომ ამისთანა დედაკაცი სრულიად გამობრუნდეს, გარდაიქმნას ყოვლად პატიოსან ადამიანად. ერთ საღამოს მარგარიტა, მხიარული, მაღხაზი მოიყვანს ოპერიდგან რამდენსამე სტუმარს ვახშმად; ფანჯრიდამ გადასძახებს თავის მეგობარს ქალს პრიუდანს, ვახშმად ამოდი შენის სტუმრებითაო. ახლად მოსულს სტუმართა შორის არის ერთი ყმაწვილი კაცი, ოციოც-და ორის წლის ჭაბუკი არმანი, რომელიც ორი წელიწადია იწვის და იდაგვის მარგარიტასათვის. ყმაწვილის ეს ფარული გრძნობა გაუმჟღავნეს სტუმრებმა მარგარიტას, რომელმაც სიამოვნებით გაუღიმა ახალგაზდას. პირველად არ მისცა მარგარიტამ დიდი მნიშვნელობა არმანის გრძნობას, მაგრამ, როცა შემთხვევით მარტოკა დარჩნენ და არმანმა ღრმად ჩაახედა ქალი თავის გულში და დაანახვა, თუ რა ცეცხლი ტრიალებს შიგ, მაშინ მარგარიტასაც უკბინა რაღამაც გულზე. ახალგაზდანი გამოესალმნენ ერთმანეთს იმ გადაწყვეტილებით, რომ მალე ინახულონ ისევ ერთმანეთი.

კ. ბ—ძე

(შემდეგი იქნება)

*) არ ვიცით რა მიზეზი მოისურვა ბ-ნმა კ. მესხმა ამ სახელწოდების ქართული დაბოლოვების მოკვეცა: აფიშაში და თვით პიესის შესრულების დროს ნახმარი იყო „მარგარეიტ“ ნაცვლად „მარგარიტა“.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**გორი**, 17 თებერვალი. მამა-პაპური, ხალხური ჩვეულებანი ჩვენს ქვეყანაში თანდათან, სხვა-და სხვა გარემოებათა წყალობით, ჰქრება, და დრო მოვა, რომ მხოლოდ ზღაპარსავით უამბობდნენ ერთი მეორეს ყეენობასა და სხვა ამბებს. ჩვენმა დედა-ქალაქმა, ტფილისმა, სულ მიივიწყა, თუ მიავიწყებინეს ყეენობა, ბერიკაობა, ჰიაკოკოლობა და სხვანი. მხოლოდ პროვინციებში-ღა უდგია სული ზოგიერთ ჩვეულებასა, მაგრამ აქაც ფერი ეცვალა. ჩვენს ქალაქს გორში კვლავ მთელი ყველიერი ბერიკაობასა, სხვა-და-სხვა ლხინში და შექცევა-თამაშობაში გაუტარებიათ; ყველიერიდამ იწყებოდა კრივი და ყოველ კვირა იმართებოდა; წელს-კი მხოლოდ სამჯერ იყო კრივი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მშვიდობიანი, დამდგარი; ეს მუშტის ომი პირველს დღეს ქვემო უბანმა მოიგო, მაგრამ კვირასა და ყეენობა დღეს-კი ზემომ დასძლია. მშვიდობიანი კრივი იყო-მეთქი, ვამბობ, იმიტომ, რომ ჩხუბი და აყალ-მაყალი არა ყოფილა, მხოლოდ ყეენობის კრივი ერთის უცნაურის ამბით გათავდა. ერთს ახალ-გაზდას თ. ს. ა—ს, ქვემო-ჰალის მცხოვრებელს, განეძრახა სახლის ბანზედ, თუ აივანზედ ასვლა, რომ იქიდამ ეცქირნა კრივისათვის; ეზოს კარი არ გაუღეს, როგორც იყო ჩხუბით და ვაი-ვაგლახით შეაღო კარი, მაგრამ პატარა ბიჭი სახლის პატრონისა მაინც არ უშვებდა დაუპატიჟებელს სტუმარს: ახალგაზდამ ცემა დაუწყო ბიჭსა, რომელსაც ჩამოეშველა სახლის პატრონის ნათესავი, გორიჯვრელი კაცი, და განრისხებულს ყმაწვილის ხელები დაუჭირა და სთხოვდა დამშვიდებულიყო. მაგრამ თავადი დამშვიდების მაგიერ გორიჯვრელს კაცს, რომელსაც მისი ხელები ეჭირა, დასწვდა, პირით ცხვირში და წინა ნაწილი—კაკნატელა ნესტოებით მოაკვნიტა. ისე აქვს მოჭმული, თითქო მჭრელის სამართებლით მოუჭრიათო. საბრალო, უდანაშაულო კაცი-კი ასე დაასახიჩრეს. ამბობენ, გამოძიება სწარმოებს ამ საქმის გამოვო, მაგრამ რა გამოვიდა! გამოძიება გორიჯვრელს ცხვირს ხომ ველარ გაუმთელებს.

—

ერთი სამწუხარო ამბავიც: გორში საოსტატო სემინარიასთან, როგორც მოგეხსენებათ, არსებობს თათართა განყოფილება; ეს ცალკე სახლშია მოთავსებული და შეგირდები—თათრები პანსიონში ცხოვრობენ. ჩვეულებად არის დადებული თურმე, რომ მოსწავლე მისდევს მზარეულს ბაზაში და ის ყიდულობს ხორაგეულს, ფულს ის ხარჯავს და ის არის პასუხის მგებელი. ამ თვეში თათრის განყოფილებაში ერთმა ამ ნაირმა შეგირდმა, რომელსაც მინდობილი ჰქონია პანსიონისათვის ხორაგეულობის ყიდვა, რევოლვერით თავის მოკვლა განიძრახა. აი საქმის გარემოება: ამ მოსწავლეს ფული შემოხარჯვია, უფროსს განყოფილებისას დაუბარებია და შეუტუქსნია. მოსწავლეს უთაკილნია, დაუწერია ბარათები: უფროსთან, მასწავლებელ თათართან და მშობლებთან, შემდეგის შინაარსისა: რადგან მე უხეირო კაცი ვყოფილვარ, მაშასადამე, ჩემი სიცოცხლე რა ხელ-საყრელია; უხეირო კაცის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიან და ამიტომ თავს ვიკლავო“. რევოლვერი მიუდვია გულზედ, უსროლნია, მაგრამ ტყვიას სხვა მიმართულება მიუღია და მოსწავლე, თუმცა დაიჭრა, მაგრამ სიკვდილს-კი გადარჩა.

ამ არა სასიამოვნო ამბებს საამო ამბით გავათავებ. 16 თებერვალს იყო რუსულ-ქართული წარმოდგენა გორის სამხედრო „სობრანიის“ დარბაზში. წარმოდგენა შესდგებოდა ოთხის განყოფილებისაგან: ცხოველი სურათები ვეფხვის ტყაოსნიდამ, ორი თითო მოქმედებიანი რუსული ვოდევილი—„Молчаніе“ და „Не зная броду, не суйся въ воду“, ქართულად-კი ორ მოქმედებიანი კომედია თ. რაფ. ერისთავისა—„ჯერ დაიხოცნენ, მერე დაჰქორწილდნენ“. ვეფხვის ტყაოსნიდამ ოთხი სურათი დასდგეს: შეხვედრა ავთანდილისა ტარიელთან ქვაბში, ქვაბში ავთანდილისა და ტარიელის მეგობრული ხელ-გადახვევა და ის სურათი, როდესაც ასმათი მწვადს სწვავს მეგობრებისათვის, მოტაცება ნესტან-დარეჯანისა ქაჯთაგან და სხვა; ნესტან-დარეჯანისა და ფატმანის შეყრა ქაჯეთიდამ დაბრუნებისას. ცხოველი სურათები საუცხოვოდ გამოვიდა და ქალ-კაცნიც ძალიან კარგად და შეფარდებით იყვნენ შერჩეულნი ყველა სურათისათვის; თითო სურათი ორჯელ-სამჯერ გაამეორებინეს.

წარმოდგენამ ძალიან მხიარულად და რიგიანად ჩაიარა; რუსულს წარმოდგენაში, ბ-ნთ ზლობინებისა და კოლდოშსკის გარდა, რომელნიც მუდამ სინიდისიერად ასრულებენ თავიანთ როლებს, საზოგადოების ყურადღება დაიმსახურეს ქ-ნმა ბლიუმისამ და ბ-ნმა ტატიშჩევმა თვისის მეუღლით; უკეთესი კომიკი, როგორიც იყო ტ—ი, ჩვენ, თამამად ვიტყვით, დიდს სცენებზედაც იშვიათად გვინახავს.

ქართულს პიესაში განსაკუთრებით კარგნი იყვნენ ბ-ნი კანდელაკი (ოსეფა) და ს. ციციშვილის ასული (ელისაბედი); ბევრნი ასიამოვნა ამათმა შეხვედრამ ქუჩაში, როდესაც ერთი-ერთმანეთს ვითომ სამძიმარს ეუბნებიან და მწარედ სტყუვდებიან. სხვებსაც არა დაუშავებიათ რა, მაგრამ შესაფერად არ იყო დანაწილებული როლები; სერგოს როლი (თ. წ—ი) რომ თ. ნ. ე—ს ჰქონოდა და ამ უკანასკნელის როლი (აპოლონი) პირველს, უფრო კარგად გამოვი-

დოდა, ჩემის აზრით; ამიტომ შემდეგისათვის სახეში იქონიონ, რომ ყველამ ისეთს როლს მოჰკიდოს ხელი, რომლის შესრულებაც ღირსეულად შეეძლება. თუმცა ჩვენ ღირსეულად დავაკანონეთ ის აზრი, რომ სცენის მოყვარულებზედ ცუდი არა ითქვას-რა, მკაცრად არ შევეხოთ მათს თამაშობას, მაგრამ სიმართლე მოითხოვს, ხანდისხან ვუჩვენოთ შეცდომები, რომ შემდეგში თავიდამ აიცილონ, თორემ საზოგადოება, რომელიც თვისს უკანასკნელს წვლილს არ ჰზოგავს წარმოდგენისათვის, რა დამნაშავეა, რომ უხეირო მოთამაშეებს უყუროს სცენაზედ. სცენის მოყვარულებმა მუდამ უნდა იქონიონ სახეში, რომ, როდესაც ისინი რომელსამე კეთილ საქმისათვის ხალხს ფულს ართმევენ, მიჰყავთ წარმოდგენაზედ, უნდა კიდეც ასიამოვნონ რითიმე და ამითი მოიგონ გული ხალხისა, რომ ყოველთვის სიხარულით იღებდეს ჯიბიდამ ფულსა.

ეს უკანასკნელი წარმოდგენა დანიშნული იყო იმ ქალთა სკოლისათვის, რომლის გამართვა აზრად აქვთ და რომლისათვის მუდამ წელს ფული გროვდება. ამ წარმოდგენაზედ ხალხი ბლომად დაესწრო. თუმცა ქება საჭირო არ არის, მაგრამ ყოველს შრომას, ყოველს მშრომელს დაფასება უნდა, და ჩვენც არ შეგვიძლიან დიდი მადლობა არ გადავუხადოთ კნ. მ. გ. ერისთავისას, რომელიც სწორედ თავ-განწირულად იღწვის ზემოხსენებულს სკოლისათვის. თვით წარმოდგენების აფერადება მისი უნარია, რათა მთელი გორის საზოგადოება დაიარებოდეს და, როგორც რუსმა, ისე ქართველ-სომხებმა თანასწორი სიამოვნება მიიღონ. ეს აფერადებაა სწორედ მიზეზი, რომ კნ. მ. ე—საგან გამართულს წარმოდგენებზედ ისე ბლომად დაიარება ხალხი, რომ ადგილებს ველარ შოულობენ.

წარმოდგენიდგან რაც დარჩა, ცალკე შეგატყობინებთ.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც ჩემის, ეგრეთვე ჩემის შეგირდების მხრით ბაქოელ ქართველთ, რომელთაც დაუგზავნეს ჩემდა რწმუნებულ კასპის სასოფლო სკოლას საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“. პირველი ნომერი უკვე მივიღეთ.

კასპის სკოლის მასწავლებელი ი. ნებაძე

# დეპეშა

20 თებერვალი

**პეტერბურგი.** იმ ღონისძიებათა გარდა, რომელიც უკვე შემუშავებულია ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად, თუ ვინიცობაა გაზაფხულზედ გაჩნდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა: გაგზავნილ იქმნას ბესარაბიასა და პოდოლის გუბერნიაში მკურნალი ელისეევი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, რა მიზეზია, რომ ბესარაბიასა და პოდოლის გუბერნიაში ხოლერა ზამთარშიაც არ მოისპო. შედგენილია აგრედვე სია იმ მკურნალთა, რომელნიც გაგზავნილ უნდა იქმნან ზემოხსენებულ ადგილებში ხოლერასთან საბრძოლველად.

21 თებერვალი.

**პეტერბურგი.** „Прав. Вѣст.“-ში დაბეჭდილია: „ბოლგარიის მმართველთ განზრახვა აქვთ საერო კრება მოიწვიონ იმ წესდების შესაცვლელად, რომელიც შეეხება ბოლგარიის მთავარს სარწმუნოებას. რუსეთის მთავრობას, თუმცა არა ჰსურს ჩაერიოს ბოლგარიის შინაგან საქმეთა მართვაში, მაგრამ არ შეუძლიან, ყურადღება არ მიაქციოს იმ საქმეს, რომელიც ერის სარწმუნოებას შეეხება. ბოლგარიის ეგზარხოსმა ითხოვა, უწმიდესის სინოდის კრება მოიწვიოთო; კობურგის პრინცის მომხრეთ ამაზედ უარი განაცხადეს. ეგზარხოსის სურვილს ერი დაეთანხმა. მიტროპოლიტებიც დაეთანხმნენ. ხოლო გაზეთები და ზოგიერთნი მოქალაქენი ეგზარხოსის წინააღმდეგნი არიან. რუსეთის მთავრობა აცხადებს სურვილს: ბოლგარიის ერმა არ უღალატოს თავის სარწმუნოებას, რომელსაც რამდენსამე საუკუნის განმავლობაში აღიარებდაო.

**ვაშინგტონი.** კონგრესმა დაამტკიცა და პრეზიდენტმა გარისსონმაც ხელი მოაწერა პროექტს, ავუკრძალოთ შეერთებულ შტატებში გადმოსახლება: უსინათლოთ, მახინჯთ, უძლურთა და საპყართ, და ყველა იმათ, ვისაც შრომა არ შეუძლიანო.

დღეს ახალმა პრეზიდენტმა კლიველენდმა სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის სთქვა: იმ გარემოებასა, რომ ფულს მუდამ ერთი ფასი ედოს, ამერიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვსო; მე იმედი მაქვსო, სთქვა კლიველენდმა, რომ ამ საქმის შესახებ რიგიანს და სასარგებლო კანონებს დავაწესებთო. ამას კლიველენდმა ისიც დასძინა, რომ ახალი გარდასახადი მხოლოდ მაშინ უნდა დავაწესოთ, როცა საჭირო იქნება ხაზინის შემოსავლის მომატებაო.

**პარიჟი.** პალატამ შეიწყნარა პროექტი პანამის საზოგადოების გაუქმებისა. სასამართლოს მიერ დანიშნულ იქმნება მხოლოდ ერთი რწმუნებული, რომელიც სასამართლოს წარუდგენს ყველა დაზარალებულთა საჩივრებს.

პეტერბურგის ბირჟა, 9 თებერვ.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,58 | 7,62 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151½ | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,07 | 1,10 | — ,, |
| 5%. პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 240½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 227½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 195¾ |
| ვირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99¹ | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

# განცხადებანი


**მეფუტკრეობისა და აბრეშუმის ჭიის მოვლის მცოდნეს**

სურს იშოვოს ადგილი სოფლის მამულში. მსურველმა ჩემი ვინაობა უნდა იკითხოს საგაზეთო სააგენტოში, რომელიც „Тиф. Лист.“-ის რედაქციის გვერდზე იმყოფება გოლოვინის პროსპექტზედ. (2—1)

დაიბეჭდა და იყიდება

ტფილისსა და ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიებში

წიგნი:

**თამარ მეფე**

(1184—1213)

შედგენილი

დ. კარიჭაშვილის მიერ

ფასი სამი შაური

**ზეთის გამოსახდელი და საპნის ქარხნები ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა ქ. ტფილისში.**

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში იყიდება **ზეთები: საჭმელად:** შირბახტისა, სელისა, კანაფისა; **კანდელისა, მოდუღებული** საღებავ წამლებისთვის და ზეთები კარგის ღირსებისა. **ბოთლებით იყიდება** შემდეგ მაღაზიებში: საათფიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ჯოჯანის მაღაზიებში, ალიხანოვის მაღაზიებში—გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობჟანსკისა, დევარანცოვის ძეგლთან, ვორონცოვთან, გოლოვინის პროსპექტი სახლი ორბელიანისა, სარაჯიშვილთან, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ბაბანასოვისა, მაზაროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა საკუთარი სახლი, სუდაკოვთან, ნიკოლოოზის ქუჩა, ალექსანდრეს ეკკლესიის პირდაპირ, სადაგოვთან, პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, გალადიანცთან, პანასევიჩის ქუჩა, სახლი № 1, წერეთელთან, ველიამინოვის ქუჩა, სახლი ხოსროევისა. ყოველ გვარ ზეთის **წვრილ-წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარ საწყობებში:** თათრის მოედანზედ, ქალაქის ფიცრის ფარდულში, აერმუკაზე, ბუდაღოვის სახლში, ავლაბრის მოედანზედ ქალაქის ფარდულში და ოლგას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლში.

**ნარდად ყიდვა შეიძლება** ქარხნებში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარ სახლები. ქარხანაში და საკუთარ მაღაზიებში იყიდება აგრედვე **ჩენჩო** ძროხებისა და ხარების საკვებად. (10—5)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

**„ჯ ე ჯ ი ლ ი“**

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.

5) სანხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ‘‘.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. გა ცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების მესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.